სკოლამდელი ბავშვებისთვის
შუამავლის ამბები – 2

# ნუჰ
## (ნოე)
# შუამავალი



ოზქან ოზე
მთარგმნელი: სევგი ირიშენ

# ნოე

(ნოე)

## შუამავლის ამბავი



ამ წიგნში შუამავლის სახეებს ვერ ნახავთ ნახატებზე. მუსლიმები შუამავლებისადმი პატივისცემის ნიშნად, მათ არ ხატავენ.

**გამოცემის ხელმძღვანელი:**
დრ. იუქსელ სალმან

**კოორდინატორი:**
იუნუს აქქაია

**ნაშრომის გადამოწმება:**
ჰალე შაჰინ
ელიფ ერდემ

**რედაქტორი:**
ზეინეფ ულვიე ოზქან

**ბეჭდვის ზედამხედველი:**
ისმაილ დერინ

**ნაშრომის გადამოწმების კომისიის გადაწყვეტილება**
12.03.2015/39

**ქართულად თარგმნა:**
ნინო კახაძემ

**ქართული გრაფიკა:**
ბილალ ილქაი

# ნოე

## (ნოე)

## შუამავლის ამბავი



ოზქან ოზე

მხატვარი: სევგი იჩიგენ







ადემ შუამავლის ამ ქვეყანაზე მოსვლიდან მრავალმა წელმა განვლო.

ძალიან ბევრმა წელმა, ასობით და ათასობით წელმაც კი.

ხალხი გამრავლდა და ირგვლივ მიმოიფანტა.

სოფლები, პატარა და დიდი ქალაქები აშენდა.

თუმცა ბოროტების რიცხვმა, სიკეთის რიცხვს გადააჭარბა.

ამასთან ერთად, ხალხმა ალლაჰის მაგივრად, ქანდაკებებზე ანუ კერპებზე დაიწყო თაყვანის ცემა.

ვინმეს გასაჭირი თუ ჰქონდა,
კერპთან მიირბენდა:

"კერპო რა მოხდება ეს მომეცი!"

რამის თუ შეეშინდებოდათ,
კერპს ევედრებოდნენ"

"ეი კერპო, დამიცავი! გთხოვ!"

ვისაც საქმე კარგად მიდიოდა,
ისინიც კერპთან მიირბენდნენ:

"ეი კერპო, დიდ მადლობას
გიხდი ჩვენი დახმარებისთვის!"







თუმცა ნოე მათგან განსხვავდებოდა!

ის ალლაჰის მორჩილი იყო და მას უხდიდა მადლობას.

ის არასდროს არავის ეთაყვანებოდა, ალლაჰის გარდა.

თუ რამეს მოისურვებდა, მხოლოდ ალლაჰს სთხოვდა.

ყველაფერი ხომ ალლაჰმა გააჩინა.

როცა შეეშინდებოდა, ალლაჰთან პოულობდა სიმშვიდეს.

ალლაჰი ხომ ყველაფერზე მაღლა დგას.

გემრიელ ხილს თუ შეჭამდა, ალლაჰს უხდიდა მადლობას.

მხოლოდ ალლაჰს შეეძლო, ადამიანებისთვის გემრიელი ხილი გაეჩინა.

კერპები კი უსიცოცხლოები და უცვინოები იყვნენ.

თუმცა ისინი, ვინც მათგან რამეს ითხოვდნენ, ალბათ მათზე უფრო უცვინოები იყვნენ.





და ალლაჰმაც ნოე შუამავლად აქცია.

ნოე შუამავალმა "ეი ჩემო ხალხო!" თქვა.

"დაანებეთ თავი ამ ქვისგან, ხისგან და ცალახისგან შექმნილი ქანდაკებებისგან რაიმეს თხოვნას!

ალლაჰისგან ითხოვეთ მხოლოდ!

და მხოლოდ ალლაჰს ემადლოდეთ!"

ხალხი ნოე შუამავალს ძალიან გაუბრაზდა.
მას თავს დაესხნენ.
უამრავი ცუდი სიტყვა უთხრეს.
მას ქვით ჩაქოლვით დაემუქრნენ...







არადა ალლაჰმა მათ შორის აარჩია ნოე ელჩად.

ყველას მისთვის უნდა ერწმუნა.

წლებმა დიდი ღრუბლებივით ჩაიარა.

თუმცა ნოე შუამავლის ნათქვამი ძალიან ცოტამ ირწმუნა.

ისინი, ვინც არ ირწმუნა, ძალიან ცუდად ექცეოდნენ მათ, ვინც ირწმუნა.

ნოე შუამავალს ეშინოდა.

თანაც ყველას გამო ეშინოდა.

კერპთაყვანისმცემლებს უთხრა:

"ასე ნუ მოიქცევით!

თქვენ გამო ალლაჰი დაგვსჯის!"

მათ კი უპასუხეს: "ვნახოთ როგორ დაგვსჯის!"

"ჩემო ალლაჰო! ადამიანებს შენი რწმენისკენ მოვუწოდე.

ისინი კი დამიპირისპირდნენ. ძალიან ვწუხვარ." თქვა ნოე შუამავალმა.



"არ იდარდო!" უთხრა ალლაჰმა ნოეს.

მას კიდობანის აშენება უბრძანა.

დიდი კიდობანის. ძალიან დიდი კიდობანის.

ძალიან ძალიან დიდი კიდობანის!

თუმცა ნოე შუამავალმა კიდობანის აშენება არ იცოდა.

ალლაჰმა ასწავლა მას, თუ როგორ აეშენებინა კიდობანი.

ნოე შუამავალი მაშინვე შეუდგა საქმეს.
ხეები მოჭრა, მორებს ეზიდებოდა.
ნელ-ნელა კიდობანმა ფორმა რომ მიიღო,
ყველას ძალიან გაუკვირდა.





მათ, ვისაც ნოე შუამავლის არ სჯეროდათ, უთხრეს:

"ჰა ჰა ჰა! ამ გემით სად უნდა გაცურო?"

ბოლოს კიდობანიც დასრულდა.

რაოდენ დიდი კიდობანი იყო!



ალლაჰმა ნოეს უბრძანა, რომ ცხოველების ყველა სახეობიდან ერთი მდედრი და ერთიც მამრი აეყვანა.

"ადით კიდობანზე! ყველა კიდობანზე! იჩქარეთ! იჩქარეთ!" თქვა ნოე შუამავალმა.

ცხოველები წყვილად ავიდნენ.

ასევე ისინი, ვინც ალლაჰი
ირწმუნეს,

კიდობანზე ავიდნენ.



კიდობანის კარები ძლიერად დაიხურა.

სულ ცოტა ხნის შემდეგ კი ცაზე საშინელი ხმები გაისმა.

მოგვიანებით საშინლად გაწვიმდა.

წვიმდა და წვიმდა. წვიმდა და წვიმდა.

მანამ იწვიმა, სანამ ყველაფერი არ დაიტბორა.

კიდობანი აიმართა და ცურვა დაიწყო.

ცაზე ეს ხმები დღეების განმავლობაში გაისმოდა.

დღეების გამნავლობაში იწვიმა.

წყალდიდობა იყო.



კიდობანში მყოფთა გარდა,

წყალდიდობას ვერავინ გადაურჩა.

ისინიც კი, ვინც ყველაზე მაღალ
მთაზე ავიდნენ,

წყალმა ჩაიყოლა.

დღეების, კვირებისა და თვეების შემდეგ
წვიმა შეწყდა.

ალლაჰმა უბრძანა გაჩერებულიყო.

ალლაჰის მცხუნვარე, ყვითელმა მზემ,

უზარმაზარი ღრუბლების უკან.

ამ ქვეყანას ისევ გაუღიმა...

კიდობანი ჯუდის მთასთან მთელი
შემადგენლობით მივიდა.





დაწყვილებული ცხოველები
და მორწმუნე, კეთილი ხალხი
ბედნიერნი ჩამოვიდნენ კიდობანიდან.







ეს ქვეყანა ისევ გაივსო იმ ხალხით,
ვინც ღამე ვარსკვლავების ხილვისას,
დღისით კი ყვავილების ხილვისას,
ამბობდნენ:
"რა ლამაზად გაუჩენია ალლაჰს!"



